ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/05

31 მაისი, 2021 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 12:35 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/05 მორიგი სხდომა

31 მაისი 2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №01-06/05 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. **საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან დამატებით შემოსული საკითხი „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (შემოსული დოკუმენტი №48/04; 31.05.2021 წელი).

შუქრი თურმანიძემ განმარტა, რომ ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებასთან დაკავშირებით გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს საკითხი დამტკიცებული იქნას უახლოეს სხდომაზე, რისთვისაც მიზანშეწონილია მიმდინარე სხდომის დღის წესრიგში სკითხი დაემატოს და განხორციელდეს მასზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძემ აღნიშნა, რომ საკითხის სხდომაზე განსახილველად საჭიროა საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ მომზადდეს „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება)პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს როდის იქნებოდა წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე და მეოთხე საკითხის დღის წესრიგში დამატებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი არ იყო მისთვის ცნობილი და მხარს არ დაუჭერდა წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს წევრმა თემურ ავალიანმა კითხვით მიმართა თავმჯდომარეს დანდალოს თემში გარე განათების პროექტის შესახებ, სადაც ორი წელია მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და დღემდე არ არის დასრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკრებულოს ანგარიში მიმდინარე წელს იქნება წარმოდგენილი, რაც შეეხება სოფელ დანდალოს გარე განათების პროექტის განხორციელებას განმარტა, რომ ამ საკითხს შეისწავლიდა საკრებულოს წევრების ერთად და მოახსენებდა შემდგომ სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგში საკითხის დამატების წინადადებით წარმოადგინა შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

4. „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის

(დადგენილება)პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1 (ვაჟა ბოლქვაძე)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისის №01-06/05 მორიგი სხდომის წარმოდგენილი დღის-წესრიგი.

11:20 საათზე სხდომა დატოვა ოთარ ხარაძემ და ზურაბ თავდგირიძემ.

1. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ამირან დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №47/04, 28.05.2021 წელი) და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილ პროექტზე და განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 02 ივნისი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 04 ივნისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 18
წინააღმდეგი -1 (ვაჟა ბოლქვაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №12).

2. მოისმინეს: საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ამირან დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №45/04, 28.05.2021 წელი) და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილ პროექტზე და და განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 02 ივნისი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 04 ივნისი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 2 (ვაჟა ბოლქვაძე და რამინი ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №13).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ბადრი სურმანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №40/04; 21.05.2021 წელი.) და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამარტივებული წესით მომსახურების მიზნით, რათა დროულად მოხდეს მუნიციპალიტეტში არსებული მიწების მოსახლეობაზე საკუთრებაში გადაცემა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული იქნა განკარგულების პროექტი, რომლის მიხედვითაც მერიაში გაიზრდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა და განისაზღვრება 30 (ოცდაათი) ერთეულით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, როგორ უნდა მოხდეს წარმოდგენილ შტატებზე კანდიდატის აყვანა და გამოთქვა უკმაყოფილება, რომ წლების წინ როცა მიწების რეგისტრაცია უფასო იყო მაშინ უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული პროექტი;

საკრებულოს წევრი გენად არძენაძე შემოვიდა წინადადებით, რომ კარგი იქნება თუ თითო ადმინისტრაციული ერთეულიდან თითო მოქალაქის აყვანა მოხდება ხელშეკრულებით, რაც გაამარტივებს მათ სამუშაო პროცესს.

საკრებულოს წევრმა თემურ ავალიანმა მადლობა გადაუხადა მერიას ამ პროექტის წარმოდგენისთვის და სრული მხარდაჭერა გამოხატა წარმოდგენილი პროექტის მიმართ. ასევე გამოთქვა სურვილი მსგავსი პროგრამა განხორციელებულიყო ტყეების რეგისტრაციასთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ შუქრი თურმანიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც სპეციალისტების რაოდენობა არის ნაკლები, მოხდება დამატებით სპეციალისტის ხელშეკრულებით აყვანა. რაც შეეხება ამ პროგრამის 2012 წელში განხორციელებას განმარტა, რომ იმ პერიოდში მიწის დარეგისტრირება ნახაზების და ბევრი უზუსტობის ხარჯზე მოხდა, რამაც დღეის მგდომარეობით გამოიწვია განმეორებით რეგისტრაციის აუცილებლობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 2 (ვაჟა ბოლქვაძე და რამინი ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №14).

4. მოისმინეს: „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება)პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ამირან დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №48/04; 31.05.2021 წელი.) და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება წარმოდგენილ პროექტზე და განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 02 ივნისი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 04 ივნისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 2 (ვაჟა ბოლქვაძე და რამინი ბერიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №15).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 12:35 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე